

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც სასამართლო  
გადაწყვეტილების ეფექტურად აღსრულების წინაპირობა

თეონა ელიზბარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო  
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო ლიპარტია, დოქტორანტი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*თეონა ელიზბარაშვილი/თ.ელიზბარაშვილი/03.07.2017*

## გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

დასახ. ნაშრ. - დასახელებული ნაშრომი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

იხ. - იხილეთ

ლათ. - ლათინურად

რედ. - გამოცემის რედაქტორი

უზენაესი სასამართლო. - საქართველოს უზენაესი სასამართლო

სსკ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ. - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სხვ. - სხვა

შდრ. - შეადარეთ

## აბსტრაქტი

სამაგისტო ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, მისი როლი და ეფექტურობა ქართულ სასამართლო სისტემაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის უმთავრეს პრინციპს შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს, რომლის განვითარება განაპირობებს იმას, რომ მხარე, რომელსაც პროფესიონალი წარმომადგენელი არ ჰყავს, მოწინააღმდეგესთან არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, აშკარად „მომგებიან“ საქმეზეც კი, მხარემ, რომელმაც სარჩელის უზრუნველყოფაზე წინასწარ არ იზრუნა, წააგოს სასამართლო დავა, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისთვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოპასუხემ საკუთარი ქონება დიდი ხანია გაასხვისა.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სასამართლოს დავის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, საქართველოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. სასამართლო დავის მიმდინარეობისას შესაძლებელია მოპასუხე მხარეს განკარგოს მის საკუთრებაში არსებული ქონება ან განახორციელოს სხვადასხვა მოქმედება, რომელის შედეგად დავის წარმოებას აზრი დაეკარგება. ვინაიდან, ამგვარი მოქმედების განხორციელების შემდგომ შესაძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდეს ან მხარეს დავის მიმართ აზრი დაეკარგოს. ამის გამოსარიცხად სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის სხვადასხვა ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

ნაშრომში განხილულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსი, მნიშვნელობა, მიმართვისა და გამოყენების პროცედურული საკითხები ასევე, განმარტებულია ამ მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა და პროცედურა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. შესწავლილი და გააალიზებულია ქართული და უცხო ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში დამეხმარა ის საკანონმდებლო ბაზა და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, პრობლემები და ხარვეზები სასამართლო სისტემაში, სამართლებრივი ანალიზი.

## **Abstract**

The topic of my master is an interim measure, more specifically its role and efficiency in a Georgian legislative system.

Nowadays an opportunity of protection of persons' rights and interests in front of the court has become broader; nevertheless it's not as easy for a party, who has no any knowledge in court proceedings to win its position in a court.

Development of the principle of a civil law proceeding - Competition between parties - determines the issue that if a person who does not have a professional lawyer is in an unequal position comparing to the second party. For example, there are cases where party who has obviously vantage-points loses the case, just because that she/he does not take care on interim measures of its crime in advance and therefore in the moment of execution of the claim it appears that another party has already sold its property.

In this master thesis is clarified all details which determines the idea and meaning of the interim measures. International and national standards are underlined. Furthermore the case law and procedural legislation of Georgia and other countries are analyzed and specified.

Research of legislation base and scientific literature concerning with interim measures helped me in accomplishing this master thesis work.

**Key words:** Interim Measures, Problems and gaps in a legislative system, legal analyze.